

შპს მე-11 ქალთა კონსულტაცია

11-th MATERNITY CONSULTATION Ltd

საქართველო, თბილისი 0160, ვ.ჭაბუკიანის ქ#6ა

6a V.Tchabukiani str., 0160 Tbilisi, Georgia

E-mail: m.maternity11@gmail.ge

Tel: +995 32 238 24 55

შპს „მე-11 ქალთა კონსულტაცია“-ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31
დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს მე-11 ქალთა კონსულტაცია
საქართველო, თბილისი 0160, ვ.ჭაბუკიანის ქ#6ა

11-th MATERNITY CONSULTATION Ltd
6a V.Tchabukiani str., 0160 Tbilisi, Georgia

E-mail: m.maternity11@gmail.ge Tel: +995 32 238 24 55

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სარჩევი:	გვერდი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საქმიანობის შედეგები	4
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:	5-12

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებულ იქნა ხელმძღვანელობის მიერ.

მარგარიტა ჯიშკარიანი

/დირექტორი/



მ. ჯიშკარიანი

თეა ლუჭაშვილი

/ბუღალტერი/

თ. ლუჭაშვილი

20 სექტემბერი 2024წ.

E-mail: m.maternity11@gmail.ge Tel: +995 32 238 24 55

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	396353	252627	8411
სავაჭრო მოთხოვნები	219211	22542	24182
- მზა პროდუქცია			
- სხვა			
სხვა მიმდინარე აქტივები	3526	359	
სხვა არამატერიალური აქტივები	193	193	193
ძირითადი საშუალებები	916095	1025906	376450
სულ აქტივები	1535378	1301627	409236

ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	5358	133712	1056
საგადასახადო ვალდებულებები	11748	1728	3710
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	416825	915864	0
სხვა ვალდებულებები	74055	38208	38208
სულ ვალდებულებები	507986	1089512	42974

საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1027392	212115	366262
სულ საკუთარი კაპიტალი	1027392	212115	366262
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1535378	1301627	409236

შპს მე-11 ქალთა კონსულტაცია
საქართველო, თბილისი 0160, ვ.ჭაბუკიანის ქ#6ა

11-th MATERNITY CONSULTATION Ltd
6a V.Tchabukiani str., 0160 Tbilisi, Georgia

E-mail: m.maternity11@gmail.ge Tel: +995 32 238 24 55

მარგარიტა ჯიშკარიანი

/დირექტორი/



თეა ლუჭაშვილი

/ბუღალტერი/

A handwritten signature in blue ink, likely belonging to Teia Luchashvili, the accountant.

E-mail: m.maternity11@gmail.ge Tel: +995 32 238 24 55

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	340038	471441	578701
საქონლის გაყიდვიდან	130947	248653	340208
მომსახურების გაწევიდან	209091	222788	238493
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(9031)	0	0
საწყისი მარაგები	(359)		
მარაგების შესყიდვა	(9031)		
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები	359	0	0
საერთო მოგება	331006	471441	578701

სხვა შემოსავალი	812202	2209	25094
დასაქმებულთა ანაზღაურება	(145727)	(335588)	(476118)
ცვეთა და ამორტიზაცია	(207677)	(53671)	(70136)
საპროცენტო შემოსავალი:	2368	873	952
საპროცენტო ხარჯი :	(46693)	(6396)	(65)
იჯარის ხარჯი			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(157106)	(233015)	(122284)
სულ საოპერაციო ხარჯები	257366	(625588)	(642557)

საოპერაციო მოგება	588372	(154147)	(63856)
--------------------------	--------	----------	---------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:			
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(1558)		

შპს მე-11 ქალთა კონსულტაცია
საქართველო, თბილისი 0160, ვ.ჭაბუკიანის ქ#6ა

11-th MATERNITY CONSULTATION Ltd
6a V.Tchabukiani str., 0160 Tbilisi, Georgia

E-mail: m.maternity11@gmail.ge Tel: +995 32 238 24 55

მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	586814	(154147)	(63856)
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)	586814	(154147)	(63856)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)			

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)			
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	440578	366262	411188
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1027393	212115	411188

მარგარიტა ჯიშკარიანი

/დირექტორი/



მ. ტყეშელაშვილი

თეა ლუჭაშვილი

მ. ლუჭაშვილი

/ბუღალტერი/

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ზოგადი ინფორმაცია

შპს „მე-11 ქალთა კონსულტაცია“ შეიქმნა 2012 წელს ყოფილი „მე-11 ქალთა კონსულტაციის“ ბაზაზე (შემდგომში „კომპანია“) ს/კ 212274698 საქართველოში. ძველ კომპანიას ქონდა სახელმწიფოს მიმართ საბიუჯეტო საგადასახადო დავალიანება, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში იღებს მონაწილეობას.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ორსულ ქალთა მეთვალყურეობა და საჭირო კონსულტაციების და პროცედურების გაწევა, გინეკოლოგიური მომსახურება.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვახტანგ ჭაბუკიანის ქ#ნა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის მიერ, პირველად მოხდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება, ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად.

კომპანიას გასულ პერიოდებში არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. შესაბამისად საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოამზადებულია 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით კომპანია იყო 4 კატეგორიის საწარმო, ხოლო 2023 წლის ბოლოს მისი კატეგორია შეიცვალა და გადავიდა 3 კატეგორიაში. შესაბამისად 2023 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოგიდგენთ შესადარის პერიოდად 2021-2022-2023 წლებს.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით,

დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „ორის ბუღალტერია“.

პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშგების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით,

წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს

საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებით შენიშვნები.

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად.

აქტივები შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით და დაგროვილი ცვეთით (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება,

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება შეფასებით სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა 5%

სატრანსპორტო საშუალებები 20%

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა 20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად

შეიცვალა, ახალი შეფასების ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე (MIDL).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი.

ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საგაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის

გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი (GEL).

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აღიარდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება:

განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

საგადასახადო დაბეგვრის წესიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

განმარტებით შენიშვნები

2023 წლის დასაწყისში კომპანიის სახელზე არსებულ საბანკო ანგარიშებზე ფიქსირდება 252627 ლარის ოდენობის ფულადი სახსრები. 31/12/2023 თარიღისთვის საბანკო ანგარიშებზე თანხა შეადგენს 396353 ლარს

ძირითადი საშუალებები

01/01/2023 საბალანსე ღირებულება	1026099
შესყიდვა	97673
ჩამოწერა	
2023 წლის ცვეთა	-207677
31/12/2023 საბალანსე ღირებულება	916095

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31/12/2023	01/01/2023
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	219211	133711.77

ძარაგები

	31/12/2023	01/01/2023
ძარაგები	359	359
სულ	359	359

საგადასახადო მოთხოვნები

	31/12/2023	01/01/2023
	49956	39936
სულ	49956	39936

ძირითადად საგადასახადო მოთხოვნები წარმოშობილია შპს „მე-11 ქალთა კონსულტაციის“ დაარსების დღისთვის დარიცხულმა საგადასახადო მოთხოვნამ, 38208,40 ლარის ოდენობით, რაც სასტარტო ნაშთებში

იღებს მონაწილეობას. ხოლო 31/12/2023 წლისთვის 49956 ლარიდან 38208,40 არის ძველი, 2012 წლამდე აღიარებული საბიუჯეტო დავალიანება და 11747 ლარი დარიცხული გადასახადი, რომელის გადახდის ვალდებულება არ იდგა საანგარიშო პერიოდისთვის და ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს მიიღო მონაწილეობა.

ამონაგები

	31/12/2023
საქონლის გაყიდვიდან	130947
მომსახურების გაწევიდან	209091
სულ	340038

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	31/12/2023
საგადახადო ხარჯი	3930
საოფისე ხარჯი	13912
კომუნიკაციის ხარჯი	5735
შრომის ანაზღაურების ხარჯი	145728
ელექტროენერგია, გაზი, დასუფთავება, წყალმომარაგება	14928
	42695
სამედიცინო საქმიანობისთვის გაწეული ხარჯი	53545
სარემონტო ხარჯი	
სულ	280473

სხვა შემოსავალი

	31/12/2023
საქონლის გაყიდვიდან	
მიღებული ბონუს-შემოსავალი	
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	792871
მიღებული შემოსავალი	
სხვა შემოსავალი	
სულ	792871

